სპორტული გაზეთი პარასკევი 2 ნოემბერი 2007 №254 (3177)
ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაკარიძე ფორმაშია

## ქართველმა მეკარემ გერმანელი მწვრთნელი ალაპარაკა





# ან ჰო, ან არა

## ტოპმიოლერის ულტიმატუმი ლაუტერნს



**საქართველოს** ნაკრების თავკაც კლაუს ტოპმიოლერისა და მისი მშობლიური „კაიზერსლაუტერნის" თემა გრძელდება.

გერმანული „კიკერის" ცნობით, მხარეებს შორის მორიგი შეხვედრა სამშაბათს შედგება და ალბათ მაშინ გადაწყდება ყველაფერი.

შეგახსენებთ: ტოპმიოლერმა მეორე ბუნდესლიგის ფსკერზე დალექილ „კაიზერსლაუტერნს" დახმარება შესთავაზა, ყოველგვარი ხელფასის გარეშე რჩევებით შეგეშველებითო, თუმცა ლაუტერნელებმა მას უფრო მეტი შესთავაზეს — ადგილი დირექტორთა საბჭოში.

„არა, ეს არ მოხდება. მე მხოლოდ რჩევებით შემიძლია დავეხმარო ჩემს საყვარელ კლუბს" — განაცხადა მაშინ ტოპმიოლერმა და კლუბის მმართველი დიტერ ბუჰხოლცი, ცოტა არ იყოს, გაალიზიანა: „ტოპმიოლერს ჩვენი დახმარება უნდა, მაგრამ ოფიციალურ თანამდებობას რატომღაც უარობს. ასეთ დროს არ ვიცი, რა გამოვა ამ საქმიდან".

და მაინც, ტოპი თავისას არ იშლის და სანაკრებო საქმიანობის შეწყვეტას არ აპირებს, მით უმეტეს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტის გაგრძელება, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი ამბავია.

„ან ჰო, ან არა — მე ასეთი პასუხი დამაკმაყოფილებს. მეტს ახლა ვერაფერს ვიტყვი, რადგან წინ კიდევ ერთი შეხვედრაა დაგეგმილი და ყველაფერი მაშინ გაირკვევა" — ამბობს ტოპმიოლერი.

მოკლედ, გერმანულ პრესაში ეს თემა აქტუალობას არ კარგავს და ვნახოთ, რა მოხდება სამშაბათს...

**კახა შალამბერიძე**

# ჯგუფური ეტაპი ეკვატორს გადასცდა

## მეოთხედფინალს ჯერ ვერავინ შეეხო


ტორპედო — მეტრო 0:3

# დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება
## ჯგუფური ეტაპი. მეოთხე ტური

www.pfl.ge



ბადრი კილილაძის ფოტო

# რატომ გამორჩა მსაჯს გაფრთხილება

**კოტე კეკელია ქუთაისიდან**

ქუთაისი. 1 ნოემბერი. 14.00 საათი. ტორპედო. 150 მაყურებელი

## ტორპედო 0:3 ამერი

| | |
|---|---|
| 0:1 ტატანაშვილი (4), 0:2 ჯელაძე (8), 0:3 დიდავა (48) | |
| ტორპედო: ოდიშარია, დარსაძე (გვარჯალაძე 73), გაბუნია, ვაჩიბერაძე, მირცხულავა, ჭანკვეტაძე, მეტონიძე (დანელია 39), შავგულიძე, ნუცუბიძე, გოდერიძე, მდივნიშვილი. *სათადარიგონი:* ბერეკაშვილი; ქიმუცაძე, კახიძე, ჯოხაძე. მწვრთნელი: დავით ჯანაშია | ამერი: ლ. ნადირაშვილი, კაკაშვილი, დავითნიძე, ჩიკვილაძე, დიდავა (დობროვოლსკი 59), ელბაქიძე, დოლიძე, ჯელაძე, ბოლქვაძე (დეკანოსიძე 59), ტატანაშვილი (ცხადაძე 53), რ. გოცირიძე. *სათადარიგონი:* ქვაჩახია; კობაური, შალამბერიძე, მესხი. მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე |
| გაფრთხილება: გაბუნია (1), კაკაშვილი (32), ტატანაშვილი (52), დიდავა (56), დოლიძე (62), ჩიკვილაძე (76) | |
| მსაჯები: ვ. ელისაბედაშვილი; ზ. ხუციშვილი, კ. ტეფნაძე; ვ. გუმბერიძე | |

**თამაშამდე** საათნახევრით ადრე ქუთაისში ჩასულ „ამერს“ სტუმართა გასახდელის კარი ჩარაზული დაუხვდა. „ტორპედოს“ სტადიონს თითქოს არც ეტყობოდა სათასო მატჩის სამზადისი, მაგრამ ვიდრე თასის მფლობელებმა ის მინდორი მოინახულეს, სადაც რამდენიმე დღის წინ სარაგბო კლუბი „ყოჩები“ საქართველოს თასს დაეუფლა, გასახდელიც გაიღო.

აი, საკუთარი კარის ჩაკეტვაზე კი, ტორპედოელებმა საკადრისად არ იფიქრეს, თუ რა, პირველ ათწუთეულში უკვე 0:2 აგებდნენ.

პირველი გოლი ამერელთა გამართულ კომბინაციას მოჰყვა, რომელიც დიმიტრი ტატანაშვილმა წამოიწყო და თავადვე ლონიერი, ოღონდ მოზომილი დარტყმით დაასრულა: ტატანაშვილმა მარჯვენაფლანგელი დოლიძე ფრთაზე გაიყვანა, ამან საჯარიმოს გადააცილა და მოპირდაპირე ფლანგზე ჯელაძეს გადააწოდა, რომელმაც მახვილი კუთხიდან დარტყმას ცენტრში ტატანაშვილისთვის დაგორება ამჯობინა და მერე ის დარტყმა იყო, რომელზეც უკვე მოგახსენეთ.

ოთხ წუთში დოლიძის ფლანგურ ჩაწოდებას ქუთაისელთა სარეზერვო მეკარე დავით ოდიშარია რომ ვერ შესწვდა, ჯელაძემ დარტყმა ამჯობინა და... ძველ, კარგ დროში თუ ასეთი რამ მოხდებოდა (ძნელად), ვიტყოდით, ტაბლოზე 0:2 აციმციმაო, მაგრამ ახლა არც ტაბლო ფუნქციონირებს, არც რადიოფიცირება და ნამატჩევსაც სტუმართმოყვარე იმერლებმა „ამერი“ სალორიის ბაზაზე დაპატიჟეს, საბანაო წყალი მხოლოდ იქ გვაქვსო.

ერთი სიტყვით, ლამის ყოველ მეორე სიტყვაში, ქუთაისელთა გასაჭირი ვახსენეთ და ეს არახალია, მაგრამ ძნელად შესაგუებელი. შესაბამისად, გუშინდელი მატჩის ანგარიშიც იმდენადვე ლოგიკურია, რამდენადაც სტადიონზე მოსული ასამდე გულშემატკივრის იმედიანი მოლოდინი და ზედ კიდევ ამის ნახევრის დრო და დრო გადაჩურჩულება:

— მართლა მოდის ის კაცი?

— დაგვპირდა. სიტყვის კაცია და ტყუილს არ იკადრებდაო.

ქუთაისში პირველი ნოემბრის დარი კი იდგა, მაგრამ გუშინ ასე იმედიანად არც ქვეყნის პრეზიდენტს ელოდებოდნენ (მიხეილ სააკაშვილი ქუთაისს გუშინწინ სტუმრობდა და ახალი სპორტის სასახლეც გახსნა) და არც გაერთიანებული ოპოზიციის რომელიმე წარმომადგენელს.

„ტორპედოს“ ქომაგები და მესვეურები ელიან იმ ადამიანს, ვინც საუკუნეთა მიჯნაზე მოპოვებულ ექვს ტიტულს მივიწყების მტვერს და კიდევ ქუთაის-თბილისის ტრასაზე სადღეისო მიტინგისთვის აბარგებული მანქანების გამონაბოლქვს ჩამოფერთხავს და „ტორპედოსთან“ ერთად მთელ ქალაქს გამოაცოცხლებს.

ღმერთმა ქნას, ეს იმედი გამართლებოდეთ.

მანამდე კი, ვიდრე პეტრე მოვა, პავლეს თუ ტყავს გააძრობენ, „ტორპედო“ რისი „ტორპედოა“, გასაჭირში არ დაიკვნესოს მაინც...

პირველი ტაიმის პირველი მესამედი არ მიწურულიყო, ქუთაისელთა შორის ერთადერთმა გამოცდილმა (საპირველლიგოდ მართლაც ცოდო), გამთამაშებელმა ლევან შავგულიძემ ისეთი დააქუხა, მისი სიძის, ზურაბ ქვაჩახიას შემცვლელ ლადო ნადირაშვილს, კაი ნახტომი უხუნდებოდა, მაგრამ ბედად, კარის ჯვარედინი წაეხმარა.

ბედიც ვახსენეთ და, ამერელები ხუმრობდნენ, კიდევ კარგი, არბიტრ ვასილ ელისაბედაშვილს არ უეჭვია, თორემ დანარჩენ ხუთ სტუმართან ერთად ნადირაშვილსაც გააფრთხილებდაო. მოგეხსენებათ, ფიფას ახალი წესებით, მოედანზე სამკაულით გასვლა, თუნდაც ხელთათმანქვეშ ბეჭდით, არ შეიძლება. არადა, ლადოს საამისო მიზეზი პირველად სწორედ გუშინ ჰქონდა — გუშინწინ ვეტერანი თანაგუნდელის, ვახტანგ ხვადაგიანის ქალიშვილი, მარიამი დანიშნა...

მეორე ტაიმში ნადირაშვილმა მაინც მოიგერია შავგულიძის სახიფათოდ დარტყმული, ამჯერად, საჯარიმოდან. მანამდე კი ერთ დროს „ტორპედოს“ კაპიტანმა გივი დიდავამ გაიტანა თავურით საჯარიმოს გარედან. ფოტოზე სწორედ ეს გოლია.

და ერთიც, გუშინ „ამერმა“ მწვრთნელს, მიხეილ ჯიშკარიანს 38-ე დაბადების დღე მიულოცა.

# მაღაროელი ვერც დინამომ გატეხა

ჭიათურა. 1 ნოემბერი. 14 საათი. თემურ მაღრაძე. 1 000 მაყურებელი

## მაღაროელი 0:0 დინამო

| | |
|---|---|
| მაღაროელი: დოლაძე, მგელაძე, შუკაკიძე, ბრეგვაძე, ეგაძე, დ. ქირია, გ. ილურიძე, ზაბახიძე, გამცემლიძე, ტყებუჩავა, ხაჭიპერაძე. *სათადარიგონი:* ბადურაშვილი, სეფერთელაძე, ჩოგოვაძე, გაფრინდაშვილი, მ. სამხარაძე, ზ. ტყემალაძე. მწვრთნელი: ბადრი ბრეგვაძე | დინამო: ოვონო, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, დობეში, დილმელაშვილი, ხმალაძე, გ. მერებაშვილი, ხუციშვილი (ოდიკაძე 73), სპასოევიჩი, აკირემი (ვანაძე 86). *სათადარიგონი:* გრიშიკაშვილი, თომაშვილი, გ. კაშია, გველესიანი, ქავთარაძე. მწვრთნელი: დუშან უჰრინი |
| გაფრთხილება: მგელაძე (22), ხმალაძე (44), ქირია (45) | |
| მსაჯები: დ. ბეუქლიშვილი, ლ. მიქელაძე, ა. კოკაია, გ. დოგრაშვილი | |

**ოთარ აბესაძე ჭიათურიდან**

**ახალ** სეზონში პირველლიგელი ჭიათურის „მაღაროელი“ შინ არ დამარცხებულა და ეს ტრადიცია ვერც თბილისის „დინამომ“ დაარღვია.

დუშან უჰრინი თითქმის უძლიერესი შემადგენლობით ეწვია ზემო იმერეთს.

გაგიკვირდებათ, მაგრამ პირველ ნახევარში უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ. მე-11 წუთზე პაატა გამცემლიძემ დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა იმედო ტყებუჩავა, თუმც მან ბურთი კარს ზემოდან გადააცილა.

„მაღაროელი“ თავს კარგად იცავდა და კონტრშეტევაზეც ხშირად გადადიოდა.

მარჯვნიდან ორჯერ იაქტიურა დავით ქირიამ და საჯარიმოში ჩაწოდებაც შეძლო, თუმც ამას შედეგი არ მოჰყოლია.

33-ე წუთზე ჟორჟ აკირემიმ კარგად დაუგდო ბურთი საჯარიმოში გიორგი მერებაშვილს, რომლის დარტყმულც ხარიხამ უკუაგდო.

სახიფათო საჯარიმო დაინიშნა დიდიე ოვონოს კართან, მაგრამ ოთარ მგელაძემ არაზუსტად დაარტყა.

მალევე ანალოგიური საჯარიმო ლევან ხმალაძემ შეასრულა, თუმც შალვა დოლაძეს აღება არ გასჭირვებია.

ტაიმის დასრულებამდე მიხეილ ხელაშვილს და ტყებუჩავას გაუცუდდათ დარტყმები.

გუნდებმა მეორე ტაიმი იგივე შემადგენლობებით დაიწყეს. 55-ე წუთზე ლაშა ეგაძემ ჩააწოდა დინამოელთა საჯარიმოში, სპასოევიჩს ბურთი აეჭრა და რომ არა ოვონო, ავტოგოლი გარდაუვალი იყო.

სპასოევიჩის გადაცემის შემდეგ აკირემიმ მაკრატელათი სცადა გატანა, მაგრამ არ გამოუვიდა.

77-ე წუთზე მასპინძლებს გოლის გატანის ყველაზე კარგი შანსი მიეცათ. გამცემლიძემ საჯარიმოში ჩააწოდა, კარიდან რამდენიმე მეტრში მდგომმა ზაურ ხაჭიპერაძემ კი თავური კარს ოდნავ ააცილა.

ბოლო წუთებში ბადრი ბრეგვაძის შეგირდებს დაღლა დაეტყოთ და თბილისელებიც „მაღაროელის“ ნახევარზე დასახლდნენ. მატჩის დასრულებას თითქმის აღარაფერი უკლდა, როცა დავით ოდიკაძის ჩაწოდებულს ნედ ზელიჩმა დაარტყა მახვილი კუთხიდან, მაგრამ კარს ვერ დაუმიზნა...

### გერმანია
II ბუნდესლიგა. XII ტური

ოსნაბრიუკი 2:1 კიოლნი

### იტალია
სერია C1/A. XI ტური

კავეზე 0:0 მონცა
ჩიტადელა 6:0 მანფრედონია
ფოჯა 2:2 კრემონეზე
პაგანეზე 1:0 ლენიანო
სასუოლო 2:1 პადოვა
ტერნანა 2:1 ლეკო
ვენეცია 1:0 ნოვარა
ვერონა 1:1 ფოლინო
პრო პატრია 2:1 პრო სესტო

სერია C1/B. XI ტური

პერუჯა 2:0 გალიპოლი
არეცო 2:0 მარტინა
კროტონე 2:1 ანკონა
პესკარა 0:0 მასეზე
პისტოიეზე 1:0 სამბენედეტეზე
პოტენცა 2:2 ლუკეზე
სალერნიტანა 2:0 სანჯოვანეზე
სორენტო 2:2 ლანჩანო
ტარანტო 0:0 იუვე სტაბია

### რუმინეთი
I ლიგა. XIII ტური

პანდურიი 1:3 რაპიდი
ფარული 1:1 დაჩია
კლუჟი 2:0 არადი

### ინგლისი
კონფერენსლიგა. XVIII ტური

რაშდენი 5:0 ოქსფორდი

### ესპანეთი
პრიმერადივიზიონი. X ტური

ესპანიოლი 0:0 მურსია
ვალიადოლიდი 1:1 ბარსელონა

### საფრანგეთი
ლიგის თასი. 1/8 ფინალი

ნიორი 0:3 ლე მანი

### ჰოლანდია
თასის 1/16 ფინალი

დენ ჰააგი 1:3 იონგ ჰერენვენი
ფეიენოორდი 3:1 გრონინგენი

### დანია
თასის 1/8 ფინალი

ჰერფიოლგე 0:1დ.დ.(0:0) ესბიერგი

### თურქეთი
თასის ჯგუფური ეტაპი I ტური

გალათასარაი 2:1 დენიზლი

### შვეიცარია
სუპერლიგა. XIV ტური

აარაუ 5:0 თუნი
იანგ ბოისი 3:2 ქსამაქსი

# დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება
## ჯგუფური ეტაპი. მეოთხე ტური

თბილისი. 1 ნოემბერი. 14 საათი. მერანი. 100 მაყურებელი

### მერანი 0:0 ოლიმპი

| მერანი | ოლიმპი |
|---|---|
| მერანი: თევდორაძე, ა. კალაძე, გიგაური, თ. კობიაშვილი, სარალიძე, ჯანგიძე, ბურჯანაძე, ავალიანი (ლომაშვილი 46), ტყეშელაშვილი, იაგო დეისაძე (ხუჭუა 72), იაკობ დეისაძე (ცისკარაული 75) სათადარიგონი: მამარდაშვილი; ქოქიაშვილი, ქემაშვილი მწვრთნელი: დავით ეჯიბიშვილი | ოლიმპი: მერლანი, მახვილაძე, აკუასაგა, ორბელაძე (ნ. მგელაძე 60), ნავალოვსკი (კოშკაძე 72), სილაგაძე, კახელიშვილი, ქებაძე, დევდარიანი, დვალიშვილი (მასუანგა 46), რ. ჯიქია სათადარიგონი: მ. ალავიძე; გეწაძე, გ. ჩივაძე, ტივკოვიჩი მწვრთნელი: ანატოლი პისკოვეცი |

გაფრთხილება: ბურჯანაძე (34)

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი, გ. ჩიგოგიძე, ო. მოლოდინაშვილი, კ. ჭაჭუა

დამკვირვებელი: შ. ბაქრაძე

# შეცდომების გასწორება


რევაზ თევდორაძე

ბადრი კეთილაძის ფოტო

**ნუკრი ლოლაძე**

**ამ** გუნდების პირველი მატჩი რუსთავში „მერანმა“ მოულოდნელად მოიგო — 2:0. ის შეხვედრა იმითაც იყო აღსანიშნი, რომ მატჩის შემდეგ ფეხბურთელებს შორის ჩხუბი ატყდა. გუშინ კი ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა.

სანამ თამაშზე ვიტყოდეთ, ერთიც ვთქვათ: ამიერიდან „მერანს“ პრესატაშე ჰყავს — გურამ ბარამია. მან მატჩის წინ ოქმებიც დაარიგა და პრესკონფერენციის ჩატარებაც არ დაუზარებია. ასე რომ, „მერანმა“ ეს საკითხი მოაგვარა და კარგი იქნება, თუ უმაღლესი ლიგის ის გუნდებიც მიბაძავენ, რომელთაც პრესატაშე ჯერ კიდევ არ ჰყავთ. აი, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მეკარემ რევაზ თევდორაძემ კი წინა მატჩების მსგავსად, ისევ ეროვნული ნაკრების მაისურით ჩაატარა შეხვედრა...

ორივე ტაიმში გუნდებმა უგერგილოდ იბურთავეს და ასეთი ანგარიშიც ალბათ ლოგიკური იყო.

კალმისკენ ხელი პირველად მე-17 წუთზე წაგვიცდა — ლადო დვალიშვილმა კარს ზემოდან გადააცილა.

31-ე წუთზე მირზა მერლანს არ გასჭირვებია ლევან სარალიძის დარტყმულის აღება. მალევე, დვალიშვილმა ბურთი თავით მიაწოდა რევაზ ჯიქიას, მან მიწაზე დაუშვებლად დაარტყა, თუმც არაზუსტად.

ტაიმის დასასრულს დედაქალაქელები გოლს გადაურჩნენ — მეტოქის ნახევარზე დავით დევდარიანმა ჩაჭრა გადაცემა და მყის ჯიქიას გადააწოდა, რევაზმა ოდნავ წინ წაიწია და 25 მეტრიდან მძლავრად ამოსცხო, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა.

ჯიქიას მერეც შეეძლო, ეხეირა, მაგრამ კარს ააცილა.

„მერანი“ უკეთ ათამაშდა და უპირატესობა მოიპოვა, თუმც ეს გატანილი გოლებში ვერ ასახა.

გიორგი ტყეშელაშვილმა საჯარიმოს გარედან სცადა გატანა, მაგრამ მერლანმა ბურთი კუთხურზე მოიგერია.

ბოლოს შეცვლაზე შესულ ბოდრი მასუანგას ორჯერ შეექმნა ხელსაყრელი სიტუაცია — ჯერ დევდარიანის გადაცემის შემდეგ მეკარესთან პირისპირ გასულმა კარს ააცილა, შემდეგ კი თევდორაძეს დაეჯახა და ბურთი ხელიდან გააგდებინა. რატომღაც მსაჯმა ამას ყურადღება არ მიაქცია მასუანგამ კი ბურთს მიუცაცუნა...

| A ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო 0:3 ამერი | | | | | | |
| სპარტაკი 1:0 მესხეთი | | | | | | |
| ამერი | 4 | 3 | 0 | 1 | 14:3 | 9 |
| სპარტაკი | 4 | 3 | 0 | 1 | 5:2 | 9 |
| მესხეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 6 |
| ტორპედო | 4 | 0 | 0 | 4 | 1:15 | 0 |

| B ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალაროელი 0:0 დინამო | | | | | | |
| ლოკომოტივი 0:4 ვიტ ჯორჯია | | | | | | |
| დინამო | 4 | 3 | 1 | 0 | 7:3 | 10 |
| მალაროელი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:2 | 7 |
| ვიტ ჯორჯია | 4 | 2 | 0 | 2 | 9:4 | 6 |
| ლოკომოტივი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:12 | 0 |

| C ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერანი 0:0 ოლიმპი | | | | | | |
| ბათუმი — ბორჯომი გადაიდო | | | | | | |
| ოლიმპი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| ბორჯომი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| მერანი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:2 | 4 |
| ბათუმი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:3 | 3 |

| D ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დილა 1:0 მგლები | | | | | | |
| კახეთი 0:2 ზესტაფონი | | | | | | |
| ზესტაფონი | 4 | 3 | 1 | 0 | 13:4 | 10 |
| დილა | 4 | 2 | 2 | 0 | 6:3 | 8 |
| მგლები | 4 | 1 | 1 | 2 | 7:9 | 4 |
| კახეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:12 | 0 |


ირაკლი კლიმიაშვილის გოლი

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

# ოთხლამაზი
## ვიტ ჯორჯიამ მჭიდი დაცალა

**ილია ნანობაშვილი**

თბილისი. 1 ნოემბერი. 14 საათი. ოლიმპიკი. 50 მაყურებელი

### ლოკომოტივი 0:4 ვიტ ჯორჯია

0:1 კლიმიაშვილი (15), 0:2 გელაშვილი (55), 0:3 სახოკია (86), 0:4 რაზმაძე (90პ)

| ლოკომოტივი | ვიტ ჯორჯია |
|---|---|
| ლოკომოტივი: ცერცვაძე, ბ. კვახაძე (დ. ფოფხაძე 46), ქუხილავა, ტიკურიშვილი, ბარბაქაძე, ბერიძე (დ. ჩაგელიშვილი 57), ბუდაღაშვილი, ალავერდაშვილი, მიქაძე (კირკიტაძე 67), ლ. ჩაგელიშვილი, ა. კობიაშვილი სათადარიგონი: მიგინეიშვილი; ხოხონიშვილი მწვრთნელი: ზაზა ზამთარაძე | ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი (სახოკია 74), ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე, ბეჭვაია, გ. დათუნაიშვილი (ინჯგია 69), რაზმაძე, გელაშვილი (ბერიაშვილი 63), გ. მელქაძე, კლიმიაშვილი სათადარიგონი: მიქაბერიძე; ლიპარტია, მაისაშვილი, კაიშაური მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე |

გაფრთხილება: ბუდაღაშვილი (24), ბარბაქაძე (33), გელაშვილი (43), ლომაია (70), პ. დათუნაიშვილი (73), სახოკია (78), ქუხილავა (90)

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; მ. ელიკაშვილი, ზ. ახკარიოლი; მ. ურუშაძე

**კარგი** თამაში გამოვიდა — ქართული გუნდების კვალობაზე ნაღდად შეეხედებოდა. მართალია, ანგარიში სხვა რამეს გვეუბნება, მაგრამ ციფრებმა არ მოგატყუოთ, „ლოკომოტივმაც“, ასე თუ ისე, ითამაშა და 0:4 ნამეტანი სასჯელია მისთვის.

ვაკელებს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელიც აკლდათ, ან კი რატომ უნდა გაესარჯათ, როცა სათასო ჯგუფში უიმედოდ მიჩანჩალებენ, ჩემპიონატი კი მისახედი აქვთ, რათა არ გავარდნენ.

ნესტორ მუმლაძის „ვიტ ჯორჯია“ შარშან ჯგუფში დარჩა და გუშინდელი მოგების მიუხედავად, ახლაც ძალიან ჭიდილი მოუწევს მეოთხედფინალში გასასვლელად, რაკილა „დინამოსა“ და „მალაროელს“ ჩამორჩება. დინამოელებისა რა გითხრათ, ისინი თითქმის გასულები არიან, აი, ჭიათურელების დაწევა-გადასწრება კი შეუძლიათ ვიტელებს.

ვიტელებმა თავიდანვე აქტიურად დაიწყეს და მალევე აისრულეს წადილი: ირაკლი კლიმიაშვილმა კარიდან წინ გამოსულ „ლოკომოტივის“ გოლკიპერ ავთანდილ ცერცვაძეს დაასწრო და გამოზომილად დაარტყა — 0:1.

„ლოკომოტივს“ ყურები არ ჩამოუყრია, აგრესიულ თამაშში აჰყვა ფავორიტებს და კარგი ბურთაობაც ვიხილეთ, იყო წვივებში ჩარტყმებიც, მაგრამ ზომიერების ფარგლებში...

„ლოკომოტივს“ პირველ ტაიმში შეეძლო გათანაბრება, გიორგი მიქაძემ რბილად მიიღო აკაკი ქუხილავას ჩაწოდებული ბურთი და გრიგოლ ბედიაშვილის პირისპირ აღმოჩნდა, თუმც ძალიან უგერგილოდ დაარტყა და ააცილა. მანამდე კი ვიტჯორჯიელ ნიკა გელაშვილს უნდა გაეტანა, როცა გიორგი მელქაძის დაფარული პასით მეკარეს შეეყარა, გასცდა და მცველებმა დაუფარეს.

ვიტელთა მთავარმეგოლემ 55-ე წუთამდე გადადო გოლი: მეკარესთან პირისპირ დარჩა და ამჯერად ნერვი არ შეტოკებია, ზუსტად დაარტყა — 0:2.

რომ არ დაგვავიწყდეს: ვაკელთა თავკაცი გიორგი კიკნაძე გელზენკირხენში ძმიშვილ ლევან ყენიას ახლავს, მის ნაცვლად კი გუშინ გუნდს ზაზა ზამთარაძე წვრთნიდა.

ეს იყო და, „ლოკომოტივს“ ზედიზედ ორჯერ მიეცა მშვენიერი შანსი. მინდორზე იმწუთას შესულმა დავით ჩაგელიშვილმა რობინიოსეული ფინტი გააკეთა, თუმც გოლს ვერ გამორჩა, მალე კი იმავ ჩაგელიშვილმა გიორგი ალადაშვილს გაუჭიმა ლამაზი პასი და ვიტელთა მეკარემ გადაარჩინა თავისიანები.

უპირატესობას თითქოს ისევ „ვიტ ჯორჯია“ ფლობდა, მაგრამ მაინცდამაინც კარისკენ არ იწევდნენ, ვაკელები კი ბედიაშვილს აწრიალებდნენ და ნაღდად ეკუთვნოდათ ერთი გოლი.

გამთამაშებელმა გიგი ბარბაქაძემ ბედიაშვილს დუელი გაუმართა — სამჯერ დაჰკრა შორიდან და აქედან ორჯერ ვიტელთა მეკარემ ისეთები მოიგერია, რაღა ბედიაშვილი და რაღა ბუფონი...

ბარბაქაძე და დავით ჩაგელიშვილი უდავოდ საუკეთესოები იყვნენ წაგებულთა შორის, „მწვანეები“ კი თავიანთ დროს უცდიდნენ და ბოლო ოთხ წუთში ორი გოლიც დაამატეს: ჯერ შეცვლაზე შესულმა ზაზა სახოკიამ ზუსტად გელაშვილის გოლის მსგავსი გაიტანა პირისპირ გასვლით, მერე კი ასევე სათადარიგოებიდან შესული გიორგი ბერიაშვილი ქუხილავამ საჯარიმოში დასცა და ლუკა რაზმაძემ პენალტით დასვა წერტილი — 0:4.

# გიორგი მაკარიძემ მწვრთნელი ალაპარაკა

## თინეიჯერული ასაკი და ტოპმიოლერის სიტყვა: აი, რამ მოხიბლა მიუნხენი



**გუშინ** გიორგი მაკარიძემ პირველად ივარჯიშა „მიუნხენ 1860“-ში.

საქართველოს ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ მეკარე ორი დღის ჩასულია გერმანიაში და „ლომთა“ მთავარ მწვრთნელ მარკო კურცს უკვე ათქმევინა დადებითი სიტყვები...

„მაკარიძე საქართველოდანაა, ჯერ მხოლოდ 17 წლისაა და დიდი პერსპექტივა აქვს. მან უკვე ითამაშა საქართველოს ეროვნულ ნაკრებში შოტლანდიის წინააღმდეგ და კარი მშრალად შეინახა. კარგია, რომ ასეთი პერსპექტიული მეკარე ჩამოვიყვანეთ და ახლა სავსებით მშვიდად შეგვიძლია მას დავაკვირდეთ“ — განაცხადა კურცმა და ისიც დაამატა, მაკარიძეზე კლაუს ტოპმიოლერმა მშვენიერი დახასიათება მოგვცაო.

მოკლედ, გიორგი უკვე საქმეშია და ვნახოთ, როგორ გამოიყენებს ის ამ ორ კვირას.

12 ნოემბერს კი მას და მათე ღვინიანიძეს სანაკრებო მატჩებისთვის საქართველოში მოუწევთ ჩამოსვლა... გეცოდინებათ, ჩვენს ეროვნულ გუნდს 21 ნოემბერს ევროშესარჩევი მატჩი აქვს შინ ლიტვასთან, 17 ნოემბერს კი, შესაძლოა, ამხანაგური მატჩი გამართოს.

**კახა ზალამბერიძე**

# ზურაბ ხიზანიშვილი საყრდენად დაბრუნდა

**ფორმააკრეფილმა** „ბლექბერნმა“ ინგლისის ლიგის თასის მერვედფინალში სტუმრად „პორტსმუთს“ 2:1 მოუგო, ზურაბ ხიზანიშვილმა კი მატჩი სრულად ჩაათამაშა. და არ გაინტერესებთ? ხიზანა საყრდენ ნახევარმცველად იდგა.

ჩვენიანს ამ პოზიციაზე „გლაზგო რეინჯერსშიც“ უთამაშიათ, თუმც „ბლექბერნში“ პირველად დააყენეს.

აქვე სხვა ქართველი ლეგიონერების საშუაკვირაო მატჩებზეც ვთქვათ: გიორგი შაშიაშვილმა შეუცვლელად ითამაშა „შტურმში“, მისმა გუნდმა კი შინ 5:0 მიანგრია, „რიდი“ და ავსტრიულ მაქსბუნდესლიგაში მეხუთე ადგილამდე აიწია.

გერმანიის თასის მეთექვსმეტედფინალი პირველ კარლცაისური გოლი გაიტანა გიორგი ონიანმა, თუმც ოდენ მატჩისშემდგომ პენალტებში. იენელებმა „ნიურნბერგთან“ 120 წუთში 2:2 ითამაშეს და პენალტებში 5:4 მოიგეს. ონიანი კი 117-ე წუთზე გამოჩნდა მინდორზე — ცხადია, პენალტის დასარტყმელად. გიორგის თანაგუნდელი ილია კანდელაკი კი სათადარიგო გახლდათ.

„პადერბორნმა“ „შტუტგარტთან“ 2:3 წააგო და დავით სირაძეს არ უთამაშია. ასევე იუქმა ოთარ ხიზანეიშვილმა, ვისმა „ფრაიბურგმაც“ 1:3 წააგო „ჰამბურგთან“.

67 წუთი ითამაშა ალექსანდრე იაშვილმა, „კარლსრუემ“ კი შინ 0:1 დათმო „ვოლფსბურგთან“, ასე რომ, ქართველებმა გერმანული კლუბებიდან თასს ლევან კობიაშვილის „შალკე“, „კარლ ცაისი“ და მათე ღვინიანიძის „მიუნხენ 1860“ შემორჩნენ.

**ილია ნანობაშვილი**

# აქედან ინგლისი გავიდა

**გუშინ** თბილისსა და რუსთავში გამართული ორი შეხვედრით 17-წლამდელ გოგონათა შორის ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ჯგუფური ეტაპი დასრულდა.

საქართველოს ნაკრები „მიხეილ მესხზე“ სლოვაკეთთან 0:6 დამარცხდა, რუსთავში კი ინგლისელებმა 1:0 იმარჯვეს რუსეთთან.

ამგვარად, ინგლისელები გაზაფხულზე ელიტ-რაუნდში ითამაშებენ.

**რუსთავი. 1 ნოემბერი. 15 საათი. ფოლადი. 200 მაყურებელი**

**რუსეთი 0:1 ინგლისი**

0:1 უილტშირი (80)

**რუსეთი:** შიზოკოვა, ანანიევა, მატიუშინა, შეიკინა, გასპარიანი (მოროზოვა 78), აბოზოვიჩუტე, კოლტაკოვა, ჟიასტინოვა, მაკაროვა (აკიმოვა 41), ფროლოვა (ხოლოვიაგა 32), კალაჩევა

**მწვრთნელი:** ვლადიმირ ანტონოვი

**ინგლისი:** კარი, ბრონზი (კოომბსი 62), მარში. ჰოლბრუკი, კოული, ჯეინი, კრისტიანსენი, ნობსი, ოსბორნ-რიკეტსი, უილტშირი (კრინენი 72), პიტმენი (ფორმესტონი 41)

**მწვრთნელი:** საიმონ რაიტი

**გაფრთხილება:** კალაჩევა, ფორმესტონი

**მსაჯები:** კ. ბანგო; ს. მიტერლეხნერი (ორივე ავსტრია), ლ. გახოკია; ლ. სილაგავა (ორივე საქართველო)

# მე და მალხაზი

## ივანოვიჩმა ჟურნალისტებს იქით შეუტია

**სამი** თვის წინ მალხაზ ასათიანს და მის სერბ თანაგუნდელ ბრანისლავ ივანოვიჩს კონფლიქტი რომ მოუვიდათ, „სარბიელის“ მკითხველს კარგად ეხსომება. მოსკოვის „ლოკომოტივის“ ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელები ჯერ მატჩისას წაკინკლავდნენ, მერე კი გასახდელშიც გაუგრძელდათ და მას შემდეგ რუსულ პრესაში განუწყვეტლივ იწერებოდა, რკინიგზელებს დაცვაში „ცხელი წერტილი“ აქვთო.

ახლა კი, ჩანს, ივანოვიჩს ეს ხმები მობეზრდა და აი, ასეთი კომენტარი გააკეთა: „მალხაზ ასათიანთან კონფლიქტი ამოწურულია. ვფიქრობ, პრესამ გადაჭარბებული ყურადღება დაუთმო იმ ამბავს, არადა, ასეთი სერიოზული არაფერი მომხდარა, ჩვენ სათამაშო ეპიზოდის გარჩევისას შევკამათდით, რაც, შეიძლება, ნებისმიერ გუნდში მოხდეს. თუმცა, როგორც წესი, ასეთი ამბები ურთიერთობებზე არ მოქმედებს ხოლმე. ამის მაგალითია ჩემი და ასათიანის ურთიერთობაც — ჩვენ მშვენივრად ვუგებთ ერთმანეთს და საერთოდ არც ვიხსენებთ მაშინდელ ეპიზოდს“.

**კახა ზალამბერიძე**

# თვალთვალი



*„თვალთვალში“, ზოგადად, სახალისო და კურიოზულ ფოტოებს ვაქვეყნებთ ხოლმე. ამ ფოტოებზე კი არც სახალისოა რამე და არც კურიოზული.*

*ეს მიკროავტობუსები ამგვარად ერთმანეთთან შეჯახების მერე გამოიყურებიან. მათგან მარცხენაში „ბორჯომის“ ფეხბურთელები ისხდნენ და ბათუმში მიდიოდნენ სათასო მატჩისთვის. დანარჩენი გუშინაც გვეწერა, მთავარი კი ერთხელაც გავიმეოროთ: ღვთის მადლით, უბედურება არ დატრიალებულა.*






# ბელარუსებს ჩაგრავენ?!

**სესკ ფაბრეგასი** კატეგორიულად აცხადებს, რომ ის და მისი თანაგუნდელები მეკარე მანუელ ალმუნიას სრულიად ენდობიან და მხარს უჭერენ. კიდევ, „მეთოფეთა“ ნახევარმცველმა თქვა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ მათ შაბათს ვერ შეაშინებს — მოგეხსენებათ, ხვალ პრემიერლიგის ცხრილის თავში მყოფი გუნდები „ემირატს სტედიუმზე“ შეეყრებიან ერთმანეთს.

თუმცა დავუბრუნდეთ ალმუნიას თემას. მოგეხსენებათ, „არსენალის“ გერმანელმა გოლკიპერმა, 37 წლის იენს ლემანმა ერთი ხნის წინ განაცხადა: „ალმუნიას ჯერ კიდევ დასამტკიცებელი აქვს, რომ მას თამაშების მოგება შეუძლია. მე კარგად ვიცი, თუ რას ელიან ფეხბურთელები საკუთარი მეკარისგან და ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა გაართვას ამას ალმუნიამ თავი“.

მანუელ ალმუნია, მოგეხსენებათ, ფაბრეგასის თანამემამულეა, ისიც ესპანელი გახლავთ და რაა გასაკვირი, 20 წლის ძმაბიჭი რომ გამოსარჩლებოდა:

„როდესაც კარში მანუელ ალმუნია დგას, ჩვენ, „არსენალის“ ფეხბურთელები თავს აბსოლუტურად მშვიდად ვგრძნობთ. ერთადერთი, რისი თქმაც ამწუთას შემიძლია, სწორედ ესაა: ალმუნია ჩინებულად იცავს ჩვენი გუნდის კარს. მე მას სამი წელიწადია, ვიცნობ და ვიცი, რისი შემძლეც არის. მაგრამ დავიცადოთ და ვნახოთ. თუ მწვრთნელი გადაწყვეტს, რომ კარში იენსი უნდა დაბრუნდეს, ასეც მოხდება. ერთი სიტყვით, ეს ის საკითხი გახლავთ, რომელიც ჩემი გადასაწყვეტი ნამდვილად არ არის“.

30 წლის მანუელ ალმუნია პრემიერლიგის მიმდინარე ჩემპიონატში მესამე ტურის შემდეგ იცავს „მეთოფეთა“ კარს და რაც ეს ასეა, გუნდი ინგლისურ ცხრილში პირველ ადგილზე გახლავთ, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში ციდან ვარსკვლავებს წყვეტს.

და ისევ ფაბრეგასს დავუბრუნდეთ, რომელიც ხალხს მარტო თანამემამულეობის პრინციპით კი არ ექომაგება, არამედ, პირად მეგობრობასაც ძალიან მაღლა აყენებს:

„ჩვენს გუნდში უამრავი მაღალი დონის ვარსკვლავია. მაგალითად, მე თუ მკითხავთ, ალექსანდრ გლებს არ აქებენ საკმარისად. ეს კი დაუნახაობაა. როდესაც გინდა, მაშინ გადააწოდე მას ბურთი, აუცილებლად წინ წავა, ან დრიბლინგს მიმათავს ან სწორად გადააწოდებს, თავად კი გაიხსნება. ის სრულყოფილი ფეხბურთელია, მაგრამ ვინაიდან ბელარუსია, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ვერავინ ამჩნევს. ეს საშინელებაა. „არსენალის“ ლიდერი მე სულაც არ გახლავართ. მე, უბრალოდ, ვცდილობ, რაც შეიძლება, კარგად ვითამაშო. ჩვენთან უკლებლივ ყოველი ფეხბურთელი თავს მნიშვნელოვან ადამიანად გრძნობს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ბოსი, არსენ ვენგერი სწორედ ასე შთაგვაგონებს“.

**ბაჩუნა ძიდია**

# დრონი მეფობენ და არა რონი...

**„ბარსელონას“** ფრანგმა ვარსკვლავმა ტიერი ანრიმ განაცხადა, რომ კატალონიურმა კლუბმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაყიდოს რონალდინიო, თუნდაც „ჩელსის“ მიერ შეთავაზებულ 70 მილიონ გირვანქად.

მოგეხსენებათ, ბარსელონელები ლონდონელთა საშინლად მაცდურ წინადადებას განიხილავენ — მალე ხომ იანვარი დადგება, სატრანსფერო ფანჯარა გაიღება და მსოფლიოს ორგზის საუკეთესოს ნაცვლად დიდძალი თანხის აღების შესაძლებლობაც გამოჩნდება, მით უფრო, რომ 27 წლის ბრაზილიელი თითქოსდა ძველებურად ველარ ბრწყინავს. მაგრამ ანრი დარწმუნებულია, რომ „ბარსელონას“ შეფები ფულს არ უნდა დახარბდებიან:

„რონი მანქანა კი არ არის. ის უკვე რამდენი წელიწადია, უმაღლეს დონეზე თამაშობს, მას კი სულ მეტს და მეტს სთხოვენ. ძნელია ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება. შეუძლებელია, ადამიანი სულ რაღაც განსაზღვრულ სიმაღლეზე იდგეს, ეს ნორმალური არ არის. სამაგიეროდ, მისი მოედანზე ყოფნა ჩვენთვის ფრიად მნიშვნელოვანია. როდესაც მეტოქეები მას უყურებენ, იძაბებიან, ყურადღება მისკენ გადააქვთ და ჩვენ, დანარჩენ ბარსელონელებს მეტი თავისუფლება გვეძლევა“.

ბრაზილიელის გუნდში დასატოვებლად ხმა 29 წლის კაპიტანმა კარლეს პუიოლმაც ამოიღო:

„ბოლო დროს რონალდინიოზე ბევრს დავობენ. ვერ გადაუწყვეტიათ, უნდა გაყიდონ თუ არა. მე თუ მკითხავთ, რონი ჩვენთვის საოცრად მნიშვნელოვანი მოთამაშეა და თუ ჯილდოების მოგება გვინდა, ის „ბარსელონაში“ უნდა დავტოვოთ“.

სხვათა შორის, რონალდინიოს გაყიდვა-დატოვების საკითხი წინა პლანზე იმიტომაც წამოვიდა, რომ ლა ლიგის მიმდინარე ჩემპიონატში „ბარსას“ თავკაცმა ფრანკ რაიკარდმა ის ექვს შეხვედრაში შეცვალა.

**ბაჩუნა ძიდია**



# დიდი გამოფხიზლება




**„სარბიელის“** მკითხველს მოეხსენება, რომ ინგლისური ტელეკომპანია BBC-ს ვებგვერდზე „მანჩესტერ სიტისა“ და ქვეყნის ნაკრების 19 წლის განაპირა მცველი მიკა რიჩარდსი მესვეტედ მუშაობს. მართალია, მის ნათხზავებს ხშირად არ გთავაზობთ, მაგრამ დღევანდელი, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს. დღეს სვენ-გორან ერიკსონის შეგირდი წინა ტურში „ჩელსისთან“ 0:6 წაგებაზე ლაპარაკობს.

„ჩელსისთან“ 0:6 წაგებაზე ცუდი, პირადად მე არასდროს არაფერი გადამხდენია. ბავშვობაშიც კი არ ვყოფილვარ 0:6-ის მონაწილე და, იმედი მაქვს, ეს კოშმარი აღარასდროს განმეორდება. ეს გახლდათ ჯოჯოხეთი. ექვსზე მეტის საშიშროებაც კი იყო...

...თავის გამართლებას არ ვცდილობ. მატჩის წინ ძალიან შემართებული ვიყავი, მაგრამ ბურთი რომ გაგორდა, რომ მჩვევია, ისე ვერ ვითამაშე და ამისთვის დავისაჯე. მეორე დღეს მამაჩემთან ერთად ჩანაწერს ვუყურე. რამდენიმე გოლი ჩემი ბრალი გახლდათ. ერთი სიტყვით, ეს ჩემი საუკეთესი მატჩი არ იყო, მაგრამ გულწრფელად გეტყვით, რომ ამაზე უარესადაც მითამაშია. ოღონდ... მაშინ მეტოქე არ იყო ასეთი ძლიერი...

...თამაშის შემდეგ გასახდელში თითქმის არ გვილაპარაკია, ბიჭებს ცხვირ-პირი ჩამოსტიროდათ. მწვრთნელმა მოგვიწოდა, წაგებიდან დასკვნები გავაკეთოთ, რათა ასეთი რამ აღარასოდეს განმეორდეს...

...რა ვისწავლე პირადად მე? ის, რომ დიდიე დროგბასა და ფრენკ ლამპარდის დონის ფეხბურთელებს ბურთთან ურთიერთობის დრო არ უნდა მისცე. მათ მეტისმეტად მჭიდროდ უ და ეთამაშო, თორემ საშინლად დაგწყვეტენ გულს: ლამპარდმა სამი გოლი შექმნა, დროგბამ კი ორი გოლი გაგვიტანა...

...ხალხი დროგბას ტექნიკასა და ათლეტიზმზე ლაპარაკობს ძალიან ბევრს, მაგრამ ის ამავდროულად ძალიან ჭკვიანიცაა. ის საოცრად გონივრულად გადაადგილდება, ეტყობა, რომ იცის, სად მზადდება გოლი. ვფიქრობ, ის ყველაზე ძლიერია იმ ფეხბურთელებს შორის, ვის წინააღმდეგაც თამაშმა მომიწია...

...ბევრმა ალბათ, შეამჩნია, რომ მე და ფრენკ ლამპარდს თამაშის განმავლობაში შელაპარაკება მოგვიხდა. რას იზამ, ასეთია ფეხბურთი. დიახ, ინგლისის ნაკრებში ჩვენ თანაგუნდელები გახლავართ, მაგრამ როდესაც ერთმანეთის წინააღმდეგ გამოვდივართ და ორივეს გამარჯვება გვინდა, არც შელაპარაკებაა გამორიცხული. უბრალოდ, კაცი უნდა იყო და მერე ხელის ჩამორთმევა შეგეძლოს. მართალია, თამაშის შემდეგ ფრენკს ველარ შევხვდი — შედეგის გამო დათრგუნული გახლდით — მაგრამ გარწმუნებთ, როგორც კი შევხვდები, ყველაფერი თავის ადგილზე დადგება...

...ზოგი ამბობს, რომ „ჩელსისთან“ შეხვედრაში ზედმეტი თავდაჯერებულობის გამო დავისაჯეთ. ერთი მხრივ, საკუთარი თავის რწმენის ყველა წინაპირობა მართლაც გვქონდა — ჩინებულ ფორმაში ვიყავით და ერთ ქულაზე მაინც რატომ არ უნდა გვეფიქრა? — თუმცა თამაშის შემდეგ ჩვენმა მწვრთნელმა მომხდარს მაინც „დიდი გამოფხიზლება“ დაარქვა...

...ასე და ამგვარად, ჩვენ უკვე ვეთამაშეთ „მანჩესტერ იუნაიტედს“, „არსენალს“ და „ჩელსის“ და თუ მკითხავთ, ამ სამიდან რომელი გახდება ჩემპიონი, გიპასუხებთ — „მანჩესტერ იუნაიტედი“. რაც შეგვეხება ჩვენ, მგონი, ექვსეულში შესვლა რეალური უნდა იყოს.

**ბაჩუნა ძიდია**

# იტალია
## სერია A
## X ტური

**სამპდორია 0:5 მილანი**

0:1 ჯილარდინო (47), 0:2 კაკა (53), 0:3 ჯილარდინო (61), 0:4 გურკუფი (75), 0:5 ზეედორფი (80)
სამპდორია: კასტელაცი, გასტალდელო, სალა, ლუკინი (ბასტრინი 15), მაჯო, ვოლპი, პალომბო, ციგლერი (ბონაცოლი 74), სამარკო, ბელუჩი (კარაჩოლო 66), მონტელა
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
მილანი: დიდა, ბონერა, ნესტა, კალაძე, სერჟინიო (შიმიჩი 75), გატუზო (გურკუფი 67), პირლო, ბროკი, კაკა (კაფუ 81), ზეედორფი, ჯილარდინო
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: სალა, კალაძე, პალომბო, გურკუფი
მსაჯი: აიროლდი
20 000 მაყურებელი

**ინტერი 4:1 ჯენოა**

1:0 კორდობა (8), 2:0 კამბიასო (50), 2:1 კონკო (73), 3:1 სუაზო (74), 4:1 კრუზი (88პ)
ინტერი: ორლანდონი, მაიკონი, კორდობა, კოვუ, მაქსველი, ფიგუ (სოლარი 85), კამბიასო, ხ. ძანეტი, სეზარი (ბურდისო 78), კრესპო (სუაზო 71), კრუზი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
ჯენოა: რუბინიო, კონკო, ა. ლუკარელი (მაზიელო 81), ბეგა, დე როზა, მ. როსი (ფიგეროა 54), დანილო, ფაბიანუ, მილანეტო, ლეონი, ბორიელო (იურიჩი 54)
მწვრთნელი: ჯანკარლო გასპერინი
გაფრთხილება: ფიგუ, რუბინიო
მსაჯი: ტალიავენტო
47 230 მაყურებელი

**რომა 3:2 ლაციო**

0:1 როკი (12), 1:1 ვუჩინიჩი (18), 2:1 მანსინი (42), 3:1 პეროტა (56), 3:2 ლედესმა (70)
რომა: ა. დონი, პანუჩი, მექსეში, ჟუანი, კასეტი, დე როსი, დ. პიზარო (ბრიგი 87), მანსინი (ჟიული 74), პეროტა, ტონეტო, ვუჩინიჩი (სისინიო 89)
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
ლაციო: ბალოტა, დე სილვესტრი, სტენდარდო (მაკინვა 84), კრიბარი, ძაური, მუდინგაი (ფირმანი 68), ლედესმა, მუტარელი, მანფრედინი (მეგნი 46), როკი, პანდევი
მწვრთნელი: დელიო როსი
გაფრთხილება: ვუჩინიჩი, კასეტი, დე როსი, მუტარელი, პიზარო, პანდევი
მსაჯი: როკი
65 000 მაყურებელი

**იუვენტუსი 3:0 ემპოლი**

1:0, 2:0, 3:0 ტრეზეგე (49პ, 62, 70)
იუვენტუსი: ბუფონი, ბირინდელი, გრიგერა, კრიშიტო, მოლინარო, სალიჰამიჯიჩი (მარკიონი 83), ტიაგუ, კ. ძანეტი, პალადინო (კამორანეზი 72), იაკვინტა (დელ პიერო 60), ტრეზეგე
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
ემპოლი: ბალი, რაჯი, მარცორატი, პეკოლო, ტოსტო, მარიანინი (ჯოვინკო 55), მარკიზიო, მორო, ანტონინი (აბატე 60), ვანუკი (პოლპატო 65), საუდატი
მწვრთნელი: ლუიჯი კანი
გაფრთხილება: მარიანინი, ბალი
მსაჯი: ჩელი
15 000 მაყურებელი

**ფიორენტინა 1:0 ნაპოლი**

1:0 ვიერი (61)
ფიორენტინა: ფრეი, პოტენცა, დაინელი, გამბერინი, პასკუალი, კუჯმანოვიჩი, ლივერანი, მონტოლივო (პაზიენცა 62), იორგენსენი (სემიოლი 65), ვიერი (პაცინი 75), მუტუ
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
ნაპოლი: იეცო, კუპი, პ. კანავარო, დომიცი, გარიკსი (დე ძერბი 72), ჰამსიკი (მონტერვინო 57), გარგანო, ბოლიაჩონო, სავინი, ლავეცი (კალაიო 80), სოზა
მწვრთნელი: ედუარდო რეხა
გაფრთხილება: სავინი, კანავარო, დომიცი, დაინელი, პასკუალი
მსაჯი: გავა
33 000 მაყურებელი

**პალერმო 1:1 პარმა**

0:1 მორონე (3), 1:1 ამაური (87პ)
პალერმო: ფონტანა, კასანი, რინაუდო, ბარძალი, პიზანო, გუანა, სიმპლისიო (კავანი 46), ტედესკო, იანკულოვიჩი (დიანა 63), მიკოლი (ბრიენცა 49), ამაური
მწვრთნელი: სტეფანო კოლანტუონო
პარმა: პავარინი, კოლი, პაჩი, პ. როსი, კასტელინი, დესენა (დ. ძენონი 82), ჩიგარინი, მორონე, გასბარონი (მორიდეო 57), პიზანუ (მარიგა 90), კორადი
მწვრთნელი: დომენიკო დი კარლო
გაფრთხილება: გუანა, პაჩი, კორადი, რინაუდო, ჩიგარინი, ამაური, როსი
მსაჯი: დამატო
30 000 მაყურებელი

**უდინეზე 2:1 ტორინო**

1:0 ფლორო ფლორესი (25), 2:0 ინლერი (52), 2:1 ვენტოლა (61)
უდინეზე: ჰანდაროვიჩი, ზაპოტოჩნი (კოდა 10), ფელიპე, ლუკოვიჩი, მესტო, დაგოსტინო, ინლერი, დოსენა, ფლორო ფლორესი (გიანი 78), კვალიარელა (სიკეირა 64), დი ნატალე
მწვრთნელი: პასკუალე მარინო
ტორინო: სერენი, კომოტო, დი ლორეტო, დელაფიორე, ლანა (მალონგა 59), მოტა, ბოტონე (სტელონე 84), კორინი, ვაილატი, როზინა, ვენტოლა
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
გაფრთხილება: ფელიპე, ბოტონე, დოსენა, დოსენა
გაძევება: ვაილატი (43), დოსენა (57)
მსაჯი: ორზატო
13 000 მაყურებელი

**ატალანტა 2:2 კალიარი**

0:1 ფინი (38პ), 1:1 კაპელი (54), 1:2 მატრი (70), 2:2 დონი (80)
ატალანტა: კოპოლა, პადოინი, კაპელი, პელეგრინო, რივალტა, ფერეირა პინტუ (დეფენდი 77), დე აშენტისი, ტისონე, ლანჯელა (ს. ინძაგი 67), ქ. დონი, ძამპანა
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
კალიარი: ფორტინი, ფერი, ბიზერა, ბიანკო, დელ გროსო, დაგოსტინო (ლარივეი 70), კონტი, ბუდელი (ბიონდინი 61), პაროლა, ფინი, აკვაფრესკა (მატრი 58)
მწვრთნელი: მარკო ჯამპაოლო
გაფრთხილება: ბიონდინი, პაროლა, დონი
გაძევება: ძამპანა (90)
მსაჯი: ტრეფოლონი
10 000 მაყურებელი

**სიენა 1:1 კატანია**

1:0 დე ჩელიე (79), 1:1 ვარგასი (88)
სიენა: ელეფთეროპულოსი, ბერტოტო (ალბერტო 77), პორტანოვა, ლორია, გრიმი, ვერგასოლა, კოდრია (დე ჩელიე 77), გალოპა, ლოკატელი, კორვია (ბუკი 62), მაკარონე
მწვრთნელი: ანდრეა მანდორლინი
კატანია: პოლიტო, სილვესტრი, სტოვინი, სოტილი, საბატო (ტედესკო 52), იცკო (ედუსეი 52), ბაიოკო, ბიაჯანდი (მორიმოტო 46), ვარგასი, მარტინესი, სპინესი
მწვრთნელი: სილვიო ბალდინი
გაფრთხილება: სილვესტრი, სტოვინი, მორიმოტო, კოდრია, ვარგასი
მსაჯი: რომეო
8 000 მაყურებელი

**რეჯინა 1:3 ლივორნო**

0:1 პულცეტი (34), 1:1 ამორუზო (37), 1:2 ვალდესი (78ს.კ.), 1:3 როსინი (90)
რეჯინა: კამპანოლო, ალვარესი, ვალდესი, კერუბინი, არონიკა, ვიჯანი (მოდესტო 48), ბარეტო, კაშიონე, ჰ ალფრედსონი (კოცა 58), კერავოლო (ტოელსონი 69), ამორუზო
მწვრთნელი: მასიმო ფიკადენტი
ლივორნო: ამელია, გრანდონი, გალანტე, კნეჟევიჩი, ბალერი, პულცეტი (დ. ფილიპინი 46), ლოვიზო (პავანი 71), ბერგვოლდი, ა. ფილიპინი, ბოგდანი (როსინი 85), ტავანო
მწვრთნელი: ჯანკარლო კამოლეზე
გაფრთხილება: ამორუზო, ბარეტო, ლოვიზო, მოდესტო, ე. ფილიპინი
მსაჯი: ფარინა
11 000 მაყურებელი



კრისტიანო ძანეტის „იუვენტუსმა" კლაუდიო მარკიზიოს „ემპოლის" ულაპარაკოდ მოუგო

AFP

# კაპიტალური ფაქტი: რომა უტოტოდ, მილანი სტუმრად

„დერბი დელა კაპიტალე" ისეთი გამოვიდა, როგორც ამ მატჩს ეკადრებოდა — ლამაზი, უხვგოლიანი, საკმაოდ ბევრი სახიფათო მომენტითა და ბრძოლით. „რომამ" უკეთ ითამაშა და მოგებას იმსახურებდა, მაგრამ არც „ლაციო" ჩამოუვარდებოდა და შეხვედრა ფრედაც რომ მორჩენილიყო, ძნელად თუ მოუბრუნდებოდა ვინმეს ენა იმის სათქმელად — შედეგი ალოგიკურიაო.

დაშავებული ლიდერის ფრანჩესკო ტოტის გარეშე მოთამაშე „ჯალოროსის" შეტევების სულისჩამდგმელი ამანტინო მანსინი გახლდათ, თუმცა გარჯას ნურც ბრწყინვალე ფორმაში მყოფ მირკო ვუჩინიჩსა და მთლიანად გუნდს დავუკარგავთ.

„ლაციოდან" კი პირველ რიგში მარკო ბალოტა უნდა გამოვარჩიოთ, ვინც სერია A-ში მე-200 მატჩი ჩაატარა.

ანგარიში „ლაციომ" გახსნა — ტომაზო როკიმ ალეშანდრე დონის შორეულ დაბალ კუთხეში უზადოდ დაურტყა. მალევე ვუჩინიჩი ბალოტას პირისპირ შერჩა, მაგრამ ვერ ივარგა. თუმც ჩერნიგორიელმა შეცდომა ცოტა ხანში გამოასწორა — „რომას" რვასვლიანი კომბინაცია მან მშვენიერი დარტყმით დააგვირგვინა.

„რომა" ტაიმის მიწურულს დაწინაურდა, როცა მორიგი ლამაზი კომბინაცია მანსინის ძლიერი დარტყმით დაბოლოვდა. 56-ე წუთზე კი „გლადიატორებმა" კიდევ ერთი მინი-შედევრი შემოგვთავაზეს — მაქს ტონეტომ ჩააწოდა, ვუჩინიჩმა კი მაკრატელათი გადააწოდა სიმონე პეროტას, რომელმაც ერთი შეხებით ბურთი თავზე გადაავლო ბალოტას, მეორეთი კი ცარიელ კარში შეაგდო იგი.

აქტიურმა მურად მეგნიმ 69-ე წუთზე ჯარიმა მოინადირა, კრისტიან ლედესმამ კი ჩინებულად შეასრულა იგი. ამის მერე ცოტა დაღლილი „რომა" უფრო თავდაცვაზე გადაერთო. „ბიანკოჩელესტი" კი ბოლო წამამდე ცდილობდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

„ლუიჯი ფერარისზე" პირველი ტაიმის უგოლოდ დასრულების შემდეგ ვინ იფიქრებდა, რომ კრიზისში მყოფი „მილანი" მეორე ნახევარში „სამპდორიას" ხუთ უპასუხო გოლს გაუტანდა.

47-ე წუთზე ანდრეა პირლოსა და ალბერტო ჯილარდინოს აქტიურობას ახლო მანძილიდან კაკას ზუსტი დარტყმა მოჰყვა. მალევე კლარენს ზეედორფის მშვენიერი თამაშისა და სერჟინიოს ჩაწოდებულის მერე ჯილამ თავურით იხეირა. 61-ე წუთზე კი მან კვლავ სერჟინიოს პასი მიიღო, მოტრიალდა და უპრობლემოდ აჯობა ლუკა კასტელაცის.

მახვილი კუთხიდან შორეულ მაღალ კუთხეში კარგი დარტყმით იოან გურკოფმა მიმდინარე სერია A-ში თავისი პირველი გოლი შეაგდო. წერტილი კი ზეედორფმა დასვა თავურით დანიელე ბონერას პასის შემდეგ.

სხვათა შორის, კახა კალაძემ შეუცვლელად და საკმაოდ კარგად ითამაშა. პირველ ტაიმში მას გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ ჩვენებურის თავურს კასტელაცი თითებით მისწვდა...

„ინტერმა" „ჯენოას" გადაურბინა, თან ისე, რომ რობერტო მანჩინიმ ზლატან იბრაჰიმოვიჩი და ვალტერ სამუელი დაასვენა, რათა მათ ყვითელი ბარათები არ მიეღოთ და მომავალ ტურში „იუვენტუსთან" მატჩი არ გამოეტოვებინათ. ხოლო ტრავმების გამო „ნერაძურის" მარკო მატერაცი, პატრიკ ვიეირა, დეიან სტანკოვიჩი, ჟულიო სეზარი და ფრანჩესკო ტოლდო რომ აკლდათ, ალბათ იცით. ადრიანო კი მანჩინიმ სათადარიგოთა სკამზეც არ დასვა.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, „ინტერს" არანაირი პრობლემა არ შექმნია და კიდევ ორი-სამი თითქმის ასპროცენტიანი საგოლე ეპიზოდი რომ გამოეყენებინა, ბევრად დიდი სხვაობით მოიგებდა.

სხვადასხვა მიზეზების გამო ბევრი მოთამაშე აკლდა „იუვენტუსსაც", მაგრამ პრობლემები არც ტურინელებს შექმნიათ. „ბებერმა ქალბატონმა", უფრო სწორად, დავიდ ტრეზეგემ, მეორე ტაიმის ცხრამეტწუთიან მონაკვეთში მოუმთავრა საქმე „ემპოლის". ამ ჰეთ თრიქით ფრანგს უკვე 10 გოლი მოუგროვდა და ბომბარდირთა დავაში საგრძნობლად დაწინაურდა.

აღვნიშნოთ, რომ ბოლო 13 წუთში „ემპოლის" კარში ფორვარდი ლუკა საუდატი იდგა, რადგან როდესაც დანიელე ბალი დაშავდა, ტოსკანელებს სამივე შეცვლა გამოყენებული ჰქონდათ. თუმცა „იუვეს" თავი აღარ მოუკლავს, სამი გოლით დაკმაყოფილდა.

„ნაპოლი" ყოჩაღად დაუდგა „ფიორენტინას". თუმცა ფლორენციელებმა მაინც მოახერხეს მნიშვნელოვანი სამი ქულის მოპოვება ვეტერანი კრისტიან ვიერის მორიგი გოლით. მას ასისტენტობა ადრიან მუტუმ გაუწია. ეს „ბობოს" 137-ე გოლი გახლდათ სერია A-ში.

„ატალანტა" შინ ორჯერ აგებდა „კალიარისთან", მაგრამ ბერგამოელებს კვლავ მათმა კაპიტანმა და ლიდერმა კრისტიანო დონიმ უშველა, ვინც 79-ე წუთზე ბრწყინვალედ შეასრულა საჯარიმო დარტყმა და 2:2.

ტომაზო ვაილატი ინლერთან, ხოლო დანიელე დოსენა ჯანლუკა კომოტოსთან უხეშობისთვის გააძევეს. შესაბამისად, „უდინეზემ" და „ტორინომ" ათ-ათი კაცით ჩაამთავრეს მატჩი. ტურინელებმა ბოლომდე იბრძოლეს ქულის გადარჩენის იმედით, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ.

ექსპალერმოელმა სტეფანო მორონემ მე-3 წუთზევე გაუტანა თავის ყოფილ გუნდს და „პარმა" სიცილიაზე კარგა ხანი იგებდა, თუმცა 87-ე წუთზე ამაურიმ პენალტი მოინადირა და თავადვე გაიტანა. ეს „პალერმოს" მიჯრით მეოთხე ფრეა.

მასიმო მაკარონემ მიმდინარე სეზონში მესამე პენალტი გააცუდა, თუმცა 79-ე წუთზე ტოსკანელებმა მაინც გაიტანეს და თითქოს დამსახურებულად უნდა მოეგოთ კიდეც, მაგრამ 88-ე წუთზე ნელსონ ვარგასმა 20 მეტრიდან მშვენიერად დაარტყა და 1:1. არადა, იქამდე „კატანიას" კარში ერთხელ თუ დაერტყა.

**გიორგი ძაძაბაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 10 | 7 | 3 | 0 | 21:6 | 24 |
| რომა | 10 | 6 | 3 | 1 | 23:14 | 21 |
| იუვენტუსი | 10 | 6 | 2 | 2 | 21:10 | 20 |
| ფიორენტინა | 10 | 5 | 5 | 0 | 17:7 | 20 |
| უდინეზე | 10 | 5 | 3 | 2 | 12:12 | 18 |
| ატალანტა | 10 | 3 | 6 | 1 | 13:12 | 15 |
| ნაპოლი | 10 | 4 | 2 | 4 | 17:12 | 14 |
| კატანია | 10 | 3 | 5 | 2 | 9:8 | 14 |
| პალერმო | 10 | 3 | 5 | 2 | 12:12 | 14 |
| მილანი | 10 | 3 | 4 | 3 | 18:9 | 13 |
| ჯენოა | 10 | 3 | 4 | 3 | 9:12 | 13 |
| ტორინო | 10 | 2 | 5 | 3 | 12:13 | 11 |
| სამპდორია | 10 | 3 | 2 | 5 | 8:14 | 11 |
| ლაციო | 10 | 2 | 4 | 4 | 11:15 | 10 |
| პარმა | 10 | 2 | 4 | 4 | 11:17 | 10 |
| კალიარი | 10 | 2 | 3 | 5 | 10:15 | 9 |
| სიენა | 10 | 1 | 5 | 4 | 8:13 | 8 |
| ემპოლი | 10 | 2 | 2 | 6 | 5:14 | 8 |
| ლივორნო | 10 | 1 | 2 | 7 | 11:22 | 5 |
| რეჯინა | 10 | 0 | 5 | 5 | 6:17 | 5 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 10 |
| იბრაჰიმოვიჩი (ინტერი) | 7 |
| კაკა (მილანი) | 7 |
| ტოტი (რომა) | 7 |
| ქ. დონი (ატალანტა) | 6 |
| მუტუ (ფიორენტინა) | 6 |
| ბორიელო (ჯენოა) | 5 |

**XI ტური**

4 ნოემბერი

| | | |
|---|---|---|
| კალიარი | : | სამპდორია |
| კატანია | : | ატალანტა |
| ემპოლი | : | რომა |
| ჯენოა | : | პალერმო |
| იუვენტუსი | : | ინტერი |
| ლაციო | : | ფიორენტინა |
| ლივორნო | : | უდინეზე |
| მილანი | : | ტორინო |
| ნაპოლი | : | რეჯინა |
| პარმა | : | სიენა |

# რეალმა დასეტა და დასეტყვა

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი X ტური

**ვალენსია 1:5 რეალი**

0:1 რაული (1), 0:2 ვან ნისტელროი (24), 0:3 რამოსი (30), 0:4 ვან ნისტელროი (37), 1:4 ანგულო (59), 1:5 რობინიო (65)
ვალენსია: ჰილდებრანდი, მიგელი, ალბიოლი, ელგერა, მორეტი, ალბელდა, გავილანი (ვისენტე 59), ხოაკინი, დ. სილვა, ანგულო (მატა 75), მორიენტესი
მწვრთნელი: ოსკარ ფერნანდესი
რეალი: კასილიასი, ს. რამოსი (მ. ტორესი 72), ფ. კანავარო, მეცელდერი, მარსელო (ჰაინცე 57), გუტი, გაგო, დიარა, რობინიო, რაული, ვან ნისტელროი (ჟ. ბაპტისტა 65)
მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი
გაფრთხილება: მარსელო, ალბელდა
გაძევება: ალბიოლი (73)
მსაჯი: პერეს ბურული
55 000 მაყურებელი

**ატლეტიკო 4:3 სევილია**

1:0 მანიშე (2), 1:1 ფაბიანო (15), 2:1 აგუერო (17), 2:2 ზე კასტრო (45ს.კ.), 3:2 მაქსი როდრიგესი (70), 4:2 ხურადო (90), 4:3 ფაბიანო (90)
ატლეტიკო: ლეო ფრანკო, სეიტარიდისი, ზე კასტრო, პერეა, პერნია, რაულ გარსია, ლუის გარსია (სიმაო 69), მანიშე, მაქსი როდრიგესი (ხურადო 87), ფორლანი (რეიესი 23), აგუერო
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
სევილია: პალოპი, დანი ალვეში, ბულარუზი, ფაციო, ადრიანო (დუდა 60), ხესუს ნავასი (დ. კაპელი 78), მარტი, კეიტა, კრესპო, ლ. ფაბიანო, კონე (კერჟაკოვი 67)
მწვრთნელი: მანუელ ხიმენესი
გაფრთხილება: ბულარუზი, პერეა, კრესპო, პერნია, რეიესი
მსაჯი: მეხუტო გონსალესი
50 000 მაყურებელი

**ვილიარეალი 3:0 ლევანტე**

1:0 ფრანკო (3), 2:0 როსი (15), 3:0 სიგანი (37)
ვილიარეალი: ვიერა, კაპდევილა, სიგანი, ანხელი, ფუენტესი, კაზორლა (ხავი ვენტა 83), მატი ფერნანდესი, სენა (მავუბა 71), ბრუნო, გ. ფრანკო (ნიჰათი 54), ჯ. როსი
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
ლევანტე: სტორარი, მ. გასპარი (რუბიალესი 46), ალვარო, დესკარგა, ბრუნო, რიგა, ტომაზი, მიგელ ანხელი, კურტუა (ხავიე ფუეგო 71), ხუანმა (საული 71), გეიხო
მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი
გაფრთხილება: მიგელ ანხელი, ბრუნო, გასპარი
მსაჯი: პერეს ლასა
18 000 მაყურებელი

**ალმერია 0:1 სარაგოსა**

0:1 მილიტო (77პ)
ალმერია: კობენიო, ბრუნო, სანტი (რ. პულიდო 14), გ. კარლოსი, ხუანიტო, ფელიპე მელო, კრუსატი, კორონა (სორიანო 71), მანე, ნეგრედო, მ. ორტისი (ხ. ორტისი 17)
მწვრთნელი: უნაი ემერი
სარაგოსა: სესარი, დიოგო, პარედესი, ხუანფრანი, სერხიო (ჩუს ერერო 3), ოსკარი, ლუქსენი, საპატერი, სერხიო გარსია (გაბი 81), რ. ოლივეირა (დალესანდრო 74), დ. მილიტო
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
გაფრთხილება: სერხიო გარსია, დიოგო, სესარი, ოლივეირა, კობენიო, ლუქსენი
მსაჯი: მუნის ფერნანდესი
15 000 მაყურებელი

**დეპორტივო 1:1 მალიორკა**

0:1 გიზა (12), 1:1 გუარდადო (43პ)
დეპორტივო: აუატი, მანუელ პაბლო, ფილიპე, კოლოჩინი, დე გუზმანი, ვერდიუ, გუარდადო, ხუან როდრიგესი (ტაბორდა 57), ბოდიპო (რუბენი 82), ადრიანი, კრისტიანი (რიკი 72)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
მალიორკა: მოია, ფ. ნავარო, ვარელა, მოლინერო (ლუქსი 41), ნუნიესი, დ. ნავარო, პერეირა, ვალერო (ბასინასი 74), ტუნი (ხონასი 62), არანგო, გიზა
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
გაფრთხილება: დ. ნავარო, ვალერო, ადრიანი, მანუელ პაბლო, ლუქსი, პერეირა, გიზა, ვარელა
გაძევება: მოია (38)
მსაჯი: რამირეს დომინგესი
20 000 მაყურებელი

**ბეტისი 0:3 ოსასუნა**

0:1 კრუჩაგა (42), 0:2 დადი (62), 0:3 ველა (66)
ბეტისი: რიკარდუ, მელი, ფ. ვეგა, დამია, ლიმა, მ. გონსალესი, კაპი (პავონე 45), ხუანდე, ედუ, ხისკო (ოდონკორი 45), სობისი (სომოსა 58)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
ოსასუნა: რიკარდო, მონრეალი, მ. ფლანიო, კრუჩაგა, ხ. ფლანიო, მარგარიაცი (უგო ვიანა 67), ექტორ ფონტი, პუნიალი, ასპილისუეტა, დადი (კიკე სოლა 67), ველა (ერიკე 83)
მწვრთნელი: ხოსე ანხელ სიგანდა
გაფრთხილება: ხისკო, დამია, ედუ, სომოსა, დადი, დამია
გაძევება: დამია (81)
მსაჯი: რუბინოს პერესი
30 000 მაყურებელი

**ხეტაფე 2:0 ბილბაო**

1:0 ხუან კასკერო (9), 2:0 უჩე (29)
ხეტაფე: აბონდანსიერი, კატა, მარიო, ლიხტი, პალიარდო, ხუან კასკერო, პაბლო (გრანერო 81), დე ლა რედი, სოუსა, კეპა (მანუ 74), უჩე (ალბერტო 86)
მწვრთნელი: მიქაელ ლაუდრუპი
ბილბაო: ირაიზოზი, ამორებიეტა, ზუბიაური, კოიკილი, ორბაიზი (მუნიოსი 81), აიტორ ოსიო, გაბილონდო (დავიდ ლოპესი 46), ირაოლა, სუსაეტა, ეჩებერია (ფ. ლორენტე 46), ადურიცი
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
გაფრთხილება: პალიარდო, ორბაიზი, ამორებიეტა, დავიდ ლოპესი, ამორებიეტა, დე ლა რედი
გაძევება: ამორებიეტა (72)
მსაჯი: ფერნანდეს ბორბალანი
15 000 მაყურებელი

**უელვა 0:0 რასინგი**

უელვა: სორენტინო, მ. კასერესი, პ. ფერნანდესი, პამპა, ხუან ვასკესი, კ. მარტინში (ხერარდი 68), ტორნავაკა (როსუ 74), ბეტუ, ა. კამუნიასი (ვარელა 68), სინამა-პონიოლი, ხავი გერერო
მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
რასინგი: ტ. მარტინესი, ორიოლი (ს. სანჩესი 69), გარაი, პინილიოსი, აიოზი (კრისტიანი 85), ხორხე ლოპესი, კოლსა, ხორდი, ტჩიტე, მუნიტისი (ლ. ფერნანდესი 69), შმოლარეკი
მწვრთნელი: მარსელინო გარსია ტორალი
გაფრთხილება: ხუან ვასკესი, მუნიტისი, კასერესი, ორიოლი, სინამა-პონიოლი, ტჩიტე, პ. ფერნანდესი, ბეტუ, აიოზი
მსაჯი: ტურიენსო ალვარესი
10 000 მაყურებელი

**ვალიადოლიდი — ბარსელონა**

**ესპანიოლი — მურსია**

*ნუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

„ვალენსიასთან" მატჩის წინ მადრიდის „რეალის" მწვრთნელმა ბერნდ შუსტერმა თავისი გუნდი როჯერ ფედერერს შეადარა და სამეფო თეთრებმაც ბეჩავ „ლამურებს" „მესტალიაზე" სახელგანთქმული მეჩოგნის სტილში გადაუარეს — 5:1. სტუმართაგან გოლები რაულმა, ვან ნისტელროიმ, სერხიო რამოსმა და რობინიომ შეაგდეს, „ვალენსიამ" კი მეტად უსახური გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. „მესტალიაზე" მწვრთნელად მისულ რონალდ კუმანს აშკარად ბევრი სამუშაო ექნება.

პირველივე წუთზე გაიტანა რაულმა გოლი. ინჩასობა ტრიბუნაზე წესიერად არც იყო მოკალათებული, რომ გონსალეს ბლანკომ საჯარიმოს გარედან დაარტყა და ადგილობრივებს გული გაუხეთქა.

მერე „ვალენსიასთვის" ნამდვილი კოშმარი დაიწყო. პასები ერთი შეხებით, ფლანგებზე და ცენტრში ზუსტი თამაში — მოკლედ, „რეალმა" სეზონის დასაწყისის დროინდელი ჩაუქობა გაიხსენა და ამას „ვალენსია" შეეწირა.

ვან ნისტელროიმ მეორე გოლი რაულის თავური პასის მერე შეაგდო, შემდეგ კი სერხიო რამოსმა გაიტანა ბრწყინვალედ და დაამტკიცა, რომ შეუძლია, „სამეფო გუნდის" ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე მაგარ უკანახაზელად დარჩეს. ამის მერე კვლავ ვან ნისტელროიმ ივაჟკაცა და ტაიმის მიწურულისკენ ვალენსიელი ფანების ერთმა ნაწილმა სტადიონი დატოვა — იქ მათთვის უკვე აღარაფერი ხდებოდა სასიხარულო.

ანგულომ მძლავრი დარტყმით „პრესტიჟის გოლი" გაიტანა, მაგრამ რობინიომაც ივაჟკაცა მეორე ტაიმში და „რეალიც" კვლავ ლიდერია.

გოლთაცვენა მოეწყო მადრიდულ „ვისენტე კალდერონზეც". „ატლეტიკო" — „სევილიას" ჯახამდე მთელი ესპანეთი მეგოლე წყვილების აგუერო-ფორლანის და კანუტ-ფაბიანოს დუელზე ლაპარაკობდა და ფანებმაც დაუვიწყარი სანახაობა იხილეს.

სევილიელთა ტრავმირებულმა კანუტმა დუელში მონაწილეობა ვერ მიიღო, ათლეტთაგან კი პირველი გოლი მანიშემ გაიტანა. დიდებულად ითამაშა „კუნ" აგუერომ, რომელმაც გოლიც შეაგდო და თანაგუნდელები პასებითაც მოამარაგა. საბოლოოდ, 7 გოლი, ფანტასტიკური მადრიდული ფიესტა და „ატლეტიკოც" საჩემპიონთალიგო ადგილზე დაწინაურდა.

„ლევანტე" „ვილიარეალის" ხელში ბეჩავი სათამაშო იყო. მეოთხე მატჩია, ვალენსიელებს გოლის გემო დაავიწყდათ და საერთოდ, მარტო ერთი ქულა აქვთ. „ყვითლებიდან" „ლევანტე" ფრანკომ, როსიმ და სიგანმა გაამწარეს. თუ ასე გაგრძელდა, შოთა არველაძის გუნდს სეგუნდაში გავარდნისგან მარტო სასწაული იხსნის.

